

ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N81 საცხოვრებელი სახლის  
N4 ბინაზე, მოქალაქე ბესარიონ თელიასათვის საკუთრების უფლების  
მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა სულხან-საბას გამზირი N81 საცხოვრებელი სახლის N4 ბინაში, მცხოვრები მოქალაქე ბესარიონ თელიას განცხადება /2013 წლის 11.02 Nლ-1541/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ სახლზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N81 საცხოვრებელი სახლი N4 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N81 საცხოვრებელი სახლის N4 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ბესარიონ თელიას.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /ვ.აბულაძე/, ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N81 საცხოვრებელი სახლის N4 ბინაზე /საერთო ფართობი 83,87 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 48,29 კვ.მ, დამხმარე ფართობი 35,58 კვ.მ/ მოქალაქე ბესარიონ თელიას სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რატიანმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრამის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

ბ.ბრეგაძე